საქართველოს
მთავრობის ადმინისტრაცია

ADMINISTRATION
OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

GOV 4 25 00002810

04/02/2025

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გაცნობებთ, რომ „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი ასახული არ ყოფილა საქართველოს პარლამენტის 2025 წლის საგაზაფხულო სესიისთვის გათვალისწინებულ საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიან გეგმაში, ვინაიდან, კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებების ინიციირების საჭიროება გამოიკვეთა აღნიშნული გეგმის საქართველოს პარლამენტში გაგზავნის შემდეგ.

კანონპროექტის მომზადების აუცილებლობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს გარკვეულ შეზღუდვებს საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტების გაცემასთან დაკავშირებით და მათ მიერ გრანტების გაცემის შესაძლებლობას საზღვრავს მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებული მიზნის არსებობისას. ამდენად, მოცემულ ეტაპზე, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონმა დაადგინოს შესაძლებლობა „გრანტის გამცემად“ ჩაითვალოს ისეთი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის ფუნქციონირების მიზანია საზოგადოებრივი ორგანიზაციის მხარდაჭერა. შესაბამისად, წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელსაც დაევალება საზოგადოებრივი ორგანიზაციის მხარდაჭერა, ექნება ამავე მიზნით გრანტების გაცემის შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გთხოვთ, გაითვალისწინოთ წარმოდგენილი დასაბუთება.

საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი

ვახტანგ ბაჩიაშვილი

საქართველო, 0114 თბილისი, ინგოროყვას ქ. №7
7 INGOROKVA STR. TBILISI, 0114, GEORGIA

ტელ/TEL: (+995 32) 2990900
WWW.GOV.GE